

# გაცვლის (ბარტერული) ოპერაციისას საფ-ის გამოწერა და დღგ-ის ჩათვლა N11120

## ფაქტობრივი გარემოებები

შპს X-ს და შპს Y-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა გაცვლის (ბარტერული) ოპერაცია. კერძოდ, შპს X-მა 2018 წლის იანვრის თვეში შპს Y-ს გადასცა 199 000 ლარის (საბაზრო ღირებულების) მიწის ნაკვეთი, რომლის სანაცვლოდაც ამავე წლის მაისის თვეში შპს Y-საგან დებულობს 200 000 ლარის (დღგ-ს გარეშე) საბაზრო ღირებულების ბინებს

შპს X-მა კუთვნილი ბინები გამოიყენა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში და შპს Y-საგან მიღებული საფ-ის საფუძველზე განახორციელა მასში მითითებული დღგ-ის თანხის 36 000 (200000\*18%) ლარის ჩათვლა

## შეფასება

სსკ-ის 175-ე მუხლის 3<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არ გამოიწერება. ამ შემთხვევაში ჩათვლის მიღების საფუძველია მიწოდებულ საქონელზე/განეულ მომსახურებაზე გადასახდელი დღგ-ის თანხის საგადასახადო ორგანოში წარდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში ასახვა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია (გარდა საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევისა, როდესაც თითოეული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით) საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს იგი საქონლის/მომსახურების მიმღებს ამ მუხლის მე-2 ნაწილის პირობების დაცვით.

სსკ-ის 174-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირებს შორის საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში – თითოეული მხარისათვის მიწოდებულ საქონელზე/განეულ მომსახურებაზე გადახდილი ან/და გადასახდელი დღგ-ის თანხა, თუ თითოეული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით

იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში ერთ-ერთი ოპერაცია (მიწის ნაკვეთის მიწოდება) არ იბეგრება დღგ-ით, მოცემულ შემთხვევაში არ გავრცელდება სსკ-ის 175-ე მუხლის მე-3 და მე-3<sup>1</sup> ნაწილების რეგულაცია. შესაბამისად, შპს Y ვალდებულია შპს X-ის მოთხოვნის შემთხვევაში, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების (ბინების გადაცემის) საანგარიშო პერიოდის (მაისის) მიხედვით გამოწეროს საფ-ი მის მიერ მიწოდებული საქონლის (ბინების) საბაზრო ფასზე და შპს X უფლებამოსილია მიღებული ბინების ჩათვლის უფლების მქონე ოპერაციებში გამოყენების შემთხვევაში, შპს Y-ის მიერ გამოწერილი საფ-ის საფუძველზე, ჩაითვალოს მასში მითითებული დღგ-ის თანხა, მოცემულ შემთხვევაში 36 000 (200000\*18%)

## ღონისძიებები

პირების ქმედებაში საგადასახადო სამართლდარღვევა არ იკვეთება დღგ-ის ნაწილში დამატებითი საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება

- გადაცემული მიწის ნაკვეთი დღგ-ის მომწოდებლისათვის არ ჩაითვლება გაცემულ/მიღებულ ავანსად.
- სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არსებობს სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.
- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2019 წლის 15 მაისისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

## ანოტაცია

### გაცვლის (ბარტერული) ოპერაციისას საფ-ის გამოწერა და დღგ-ის ჩათვლა № 11120 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირებს შორის საქონლის/მომსახურების ისეთი გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევას, როდესაც მხოლოდ ერთი მხარის მიერ განხორციელებული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით.

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, შპს X-ს და შპს Y-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა გაცვლის (ბარტერული) ოპერაცია. კერძოდ, შპს X-მა 2018 წლის იანვრის თვეში შპს Y-ს გადასცა 199 000 ლარის (საბაზრო ღირებულების) მიწის ნაკვეთი, რომლის სანაცვლოდაც ამავე წლის მაისის თვეში შპს Y-ს საგან ღებულობს 200 000 ლარის (დღგ-ს გარეშე) საბაზრო ღირებულების ბინებს. შპს X-მა შპს Y-ს გადაცემული ბინების ღირებულებაზე მოსთხოვა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (საფ-ის) გამოწერა და მიღებული საფ-ით განახორციელა მასში მითითებული დღგ-ის თანხის 36 000 (200000\*18%) ლარის ჩათვლა, რადგან კუთვნილი ბინები გამოიყენა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში.

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირებს შორის საქონლის/მომსახურების ისეთი გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთი მხარის მიერ განხორციელებული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით:

- დღგ-ის ჩათვლის უფლება აქვს იმ პირს, რომელიც სანაცვლოდ მიღებულ, დღგ-ით დაბეგრულ საქონელს/მომსახურებას იყენებს ან გამოიყენებს დასაბეგრ (გარდა ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულ) ოპერაციებში;

- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, რომლის ოპერაციაც იბეგრება დღგ-ით, სსკ-ის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ვალდებულია, საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნისას, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, გამოწეროს საფ-ი და წარუდგინოს იგი საქონლის/მომსახურების მიმღებს;

- დღგ-ის ჩასათვლელი თანხა, სსკ-ის 174-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არის დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახადელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით;

- სსკ-ის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩათვლის დოკუმენტია საფ-ი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 174-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, 175-ე მუხლის მე-2, მე-3 და 3<sup>1</sup> ნაწილების დებულებების გათვალისწინებით, გაცვლის (ბარტერული) ოპერაციისას, როდესაც მხოლოდ ერთი მხარის მიერ განხორციელებული ოპერაცია იბეგრება დღგ-ით, ასეთი ოპერაციის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, სსკ-ის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის პირობების დაცვით, ოპერაციის განხორციელების დროის საანგარიშო პერიოდის (თვის) მიხედვით, დასაბეგრი ოპერაციის თანხაზე - მომსახურების საბაზრო ფასზე დღგ-ის გარეშე,

გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წარუდგინოს გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის მონაწილე მეორე მხარეს, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია ჩაითვალოს ამ ანგარიშ-ფაქტურაში ასახული დღგ-ის თანხა სსკ-ის 174-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში ერთ-ერთი ოპერაცია (მიწის ნაკვეთის მიწოდება) არ იბეგრება დღგ-ით, მოცემულ შემთხვევაში არ გავრცელდება სსკ-ის 175-ე მუხლის მე-3 და მე-3<sup>1</sup> ნაწილების რეგულაცია. შესაბამისად, შპს Y ვალდებულია შპს X -ის მოთხოვნის შემთხვევაში, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების (ბინების გადაცემის) საანგარიშო პერიოდის (მაისის) მიხედვით გამოწეროს საფ-ი მის მიერ მიწოდებული საქონლის (ბინების) საბაზრო ფასზე და შპს X უფლებამოსილია მიღებული ბინების ჩათვლის უფლების მქონე ოპერაციებში გამოყენების შემთხვევაში, შპს Y-ის მიერ გამოწერილი საფ-ის საფუძველზე, ჩაითვალოს მასში მითითებული დღგ-ის თანხა, მოცემულ შემთხვევაში 36 000 (200000\*18%)

შესაბამისად, პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დღგ-ის ნაწილში დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

შენიშვნა: გადაცემული მიწის ნაკვეთი დღგ-ის მიზნებისათვის არ ჩაითვლება გაცემულ/მიღებულ ავანსად. სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არსებობს სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.

